სახალხო განათლება+

„ქვეყნად არცერთი ბრძენი არ იყო,
მასწავლებელი არა ჰყოლოდა“.
იოსებ ნონეშვილი

● № 5 (4509) ● 25 მარტი ● 2015 წელი ● ● ● ● ● გაზეთი გამოდის ოთხშაბათობით ● ფასი 80 თეთრი ●

იყო ზეიმი გაზაფხულისა

ბრწყინვალე, ემოციური, ამაღლებული

მიიწურა თმაჭაღარა ზამთარი და თვალწარმტაცმა გაზაფხულმა გაგვახარა. ირგვლივ უკვე ყვავილების სურნელი ტრიალებს. ყველა ერთნაირი სიხარულით ეგებება მზის სხივების გამობრწყინებას. მთელი სამყარო ზეიმობს წელიწადის ამ უმშვენიერეს დროს.

თბილისის 191-ე საჯარო სკოლის მესამეკლასელებმა ნამდვილი გაზაფხულის ზეიმი მოაწყვეს ტყეში. ცოცხალი ტყის იმიტაცია კი ოსტატურად დადგმულმა დეკორაციამ შექმნა.

პატარებმა, მუსიკის მასწავლებელ **თამარ დავითაშვილის** ხელმძღვანელობით სცენაზე ჯადოსნური ზღაპარი გააცოცხლეს.

ზღაპარი წარმოადგენდა კეთილი დათუნია დრუნჩას ამბავს გივი ჭიჭინაძის ლექსი – ზღაპრის – **„დათუნია დრუნჩას**“ მიხედვით.

ჩვენც, უფროსები, ცოტა ხნით მოგვწყვიტეს მძიმე, მოსაწყენ ყოველდღიურობას და ზღაპრის სამყაროში გვამოგზაურეს. სცენაზეა ჯადონსური ტყე, საოცრად ლამაზი დეკორაციებით მორთული. ყვავილთა სიმრავლემ, ფრინველთა გალობამ მაყურებელს ემოციურად ამაღლებული განწყობა შეუქმნა. გაზაფხულს გვილოცავენ მთხრობელები: **ნატალი ჭანტურიძე**, **ბარბარე ჯანაშვილი**, **სალომე ხიდაშელი**, **ბექა შველიძე**, **მალხაზ სიდამონიძე**, **ირაკლი ცინცაძე**.

ფრინველთა და ცხოველთა ფორმებში გამოწყობილმა გოგონებმა და ბიჭებმა ლამაზი სიმღერებითა და ცეკვებით მოხიბლეს მაყურებელი. აი, ისინი: **ქეთი ხიზანიშვილი**, **თამუნა კვერცხიშვილი**, **გვანცა ჭინჭარაული**, **მარი არველაძე**, **ირინე სექანია**, **ანა ბადურაშვილი**, **მარი რიჟამაძე**, **მარი თორთლაძე**, ერთმანეთს ენაცვლებოდნენ დათუნია დრუნჩა, კოდალა – **ანა ბარბაქაძე** და **ანა-მარია მეხრიშვილი**, მელაკუდა – **მარი ბარბაქაძე** და **თიკო მამასახლისი**.

დათუნიების სამკვიდროში, რომელთა როლი: **თორნიკე კოპაძემ**, **ნიკა მამასახლისმა**, **სერგო სახიაშვილმა**, **ქეთი ბეჟიტაშვილმა** შეასრულეს, ქილებიდან თაფლის სუნი ტრიალებდა.

განსაკუთრებით შთამბეჭდავი იყო ზღაპრის ფინალი. ატირებულ დათუნიას მეგობრები გარს შემოეხვევიან. ვირთხა კაკალსა და თხილს მიუტანს, ზღარბი – ვაშლსა და მსხალს, მელა – წაბლს, კოდალა – ბლის კუნწულას.

დათუნია გაიხარებს და ყველა ერთად „მეგობრობის სიმღერას“ შემოსძახებს.

გაზაფხული და დედის დღე ხომ ერთად შემოდის ჩვენს ცხოვრებაში. დედა ხომ გაზაფხულივით სიცოცხლის საწყისია, ბედნიერებისა და სიყვარულის წყაროა. პატარა მსახიობებს არც დედები დაუტოვებიათ უყურადღებოდ „დედავ, სისოცხლის დიდო საწყისო, დედავ, ცხოვრების ბურჯო მაგარო“. იმღერეს „დედა კი მხოლოდ ერთია!“ მისალოცი ბარათები მიართვეს დედებს, რა თქმა უნდა, მშობლების უმრავლესობა ესწრებოდა ცეროდენების ზეიმს.

როგორც ზემოთ ვთქვით, გია ყანჩელის არაჩვეულებრივი მუსიკის თანხლებით ცეროდენებმა სამახსოვრო ბარათები დაურიგეს მშობლებსა და მოწვეულ სტუმრებს. პატარების შემოქმედებამ მოხიბლა ყველა. სიხარულის ცრემლები ორ ცუგრუმელა გოგონასაც დაცვივდა.

სტუმართა შორის იყვნენ მშობლები, სკოლის დირექტორი, ქალბატონი **თინათინ ბაქრაძე**, დირექტორის მოადგილე **მაია ირემაშვილი**, კლასის დამრიგებელი **მარინე კიკაბიძე**. გაზეთ „სახალხო განათლების“ რედაქტორი, ბატონი **ბორის მიშველაძე** და ბევრი III[ბ] კლასელთა გულშემატკივარი. სიტყვით გამოსულებმა მადლობა გადაუხადეს ცეროდენებს ესთეტიკური სიამოვნების მონიჭებისთვის, ხოლო მშობლებს – ასეთი ჭკვიანი შვილების ყოლისათვის.

ბავშვებმა სამახსოვრო ფოტოებიც გადაიღეს. გავა დრო. ისინი ხომ დიდები გახდებიან და გაიხარებენ ამ ფოტოების ხილვით.

ეს დღე, დაუვიწყარ მოგონებად შემორჩება მათ ბიოგრაფიას.

აი, როგორ ცხოველმყოფელად, დინამიურად, ხალისიანად მიმდინარეობს სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესი 191-ე საჯარო სკოლაში ახალი დირექტორის **თინათინ ბაქრაძის** ხელმძღვანელობით.

აი, რა გატაცებით ილვწის, რა თქმა უნდა, კლასის ხელმძღვანელ **მარინე კიკაბიძესთან** ერთად მუსიკის ჩინებული მასწავლებელი **თამარ დავითაშვილი**, რომ ნორჩებში ხელოვნების მიმართ სიყვარული ჩანერგოს.

დიდი მადლობა ყველას!

ნანა გაბოშვილი

ვაჟა-ფშაველა

გაზაფხული

ყინვისგან შეწუხებულმა
ვნახე, ზამთარი კვდებოდა,
ლეღმა-ნაკრავი ყინული
მდინარეებზე ტყდებოდა;
ბატი, წერო და ყარყატი
მათ ნაპირებზე სხდებოდა
და გაზაფხული ზღაზვნითა
სამარიდანა დგებოდა,
ტანით სუდარას იხდიდა
დიბ-ფარჩით იმოსებოდა.
მიწის გულ-მკერდში ჩახუტულთ
თავი ამოჰყვეს იათა,
სამოთხის ფერი დაიდვეს
არე-მარეთა ტყიანთა,
დიდი გამართეს ზეიმი
მწერთა, ოთხ-ფეხთ და ფრთიანთა.
სიცოცხლე სცხოვრობს ყოველგან,
სიკვდილი არ სჩანს, მომკვდარა,
ჟუჟუნა წვიმამ დაუშვა,
მთიდან ღვარები მომსკდარა,
გუნდი და გუნდი ყვავილთა
მიწის გულ-მკერდზე მომსხდარა;
ნაშენი ცხვრის და ძროხისა
ფარებად კარზე მომდგარა.
დიდება უფლის სახელსა,
რა კარგი საქმე მომხდარა!

მკითხველთა საყურადღებოდ!
გაზეთის გამოსაწერად მიმართეთ პრესის გავრცელების სააგენტოებს:
„საქპრესა“ _ გურამიშვილის გამზ. 64, ტელ.: (032) 2 518 518,
„მაცნე“ _ საირმის ქ. კორპ N 4, ტელ.: 2 14 74 22.

მასწავლებლებო, ითანამშრომლეთ ჩვენთან!

აქტუალური თემა

მასპინძლები ისტორიული და სიყვარულის ქალაქიდან

ლია ნადირაშვილი



სარვამარტოდ სიღნაღის ბიბლიოთეკამ სიყვარულითა და ჩვეული ყურადღებით უმასპინძლა სტუმრებს. ღონისძიების ერთი ნაწილი მრავალშვილიან დედებს მიეძღვნა და სხვა მტკივნეულ საკითხებთან ერთად ყურადღება გამახვილდა რაიონის დემოგრაფიულ პრობლემასა და ეროვნული ღირებულებების გაფრთხილება, მოვლა-პატრონობაზე.

გულდასაწყვეტია, მაგრამ ითქვა, რომ სამშვილიანობა რაიონის მასშტაბით უკვე იშვიათი მოვლენაა და თუ ასე გაგრძელდა, შესაძლებელია უახლოეს ათ წელიწადში რაიონის მოსახლეობა განახევრდეს.

ღონისძიებამ მეორე ნაწილში სხვა ელფერიც შეიძინა.

2015 წელი იაკობ გოგებაშვილის დაბადებიდან 175-ე წელია. ამ სახელთან დაკავშირებული ყველა თარიღი, ფაქტი თუ მოვლენა მთელი ქართველი ერის კუთვნილებაა და საზეიმოდაც ამიტომ აღინიშნება ბევრი რამ.

ისტორიულ და ახლა უკვე სიყვარულის ქალაქად წოდებულ სიღნაღში უდიდეს პატივს მიაგებენ დიდი მამულიშვილის ხსოვნას. ღონისძიებაში მონაწილეობას იღებდნენ ძირითადად ახალგაზრდები და ამ მშვენიერი საღამოს ინიციატორები – ქალაქის ბიბლიოთეკის თანამშრომლები, რომელთაც ორგანიზება გაუკეთეს პროგრამის ყველა ნაწილს და მნახველს დაუვიწყარი შთაბეჭდილებები დაუტოვეს.

მთავარ სათქმელამდე ხაზი უნდა გავუსვათ ერთ მნიშვნელოვან გარემოებას.

უკანასკნელ წლებში მთლად დარბეული და მიწასთან გასწორებული ქალაქ სიღნაღის უძველესი ბიბლიოთეკა უმოქმედო იყო, წიგნები – ტომრებში გადანახული და ბიბლიოთეკართა უდიდესი რუდუნებით – საიმედოდ დაცული.

სიღნაღის ბიბლიოთეკის მენეჯერი **ლია ხატიაშვილი** ბიბლიოთეკარებთან: **ნონა ნაცვლიშვილთან**, **ნანა ნასყიდაშვილთან**, **ლია ხატიაშვილთან**, **ქეთევან მახარაშვილთან** და **ელეონორა გელაშვილთან** ერთად ლამის თვალცრემლიანი იხსენებს იმ ავადმოსაგონარ წლებს, როდესაც მოსწავლე-ახალგაზრდობას ქალაქის ბიბლიოთეკით სარგებლობა ელემენტარულადაც არ შეეძლოთ. და რა სასაცილოდაც არ უნდა ჟღერდეს, ბიბლიოთეკის შენობა რაიონის ყოფილმა ხელმძღვანელებმა სულ სხვა მიზნებით გამოიყენეს.

რაიონის ახალი გამგებლის **დავით ჯანიკაშვილისა** და მაჟორიტარი დეპუტატის **გელა გელაშვილის** თავკაცობით ორი წლის წინათ ბიბლიოთეკამ მუშაობა ისევ განაახლა და იგი, როგორც წიგნიერების, კულტურის, ლიტერატურის აკადემიური დაწესებულება, მოსწავლე-ახალგაზრდობისათვის და მთელი საზოგადოებისათვის ერთგვარ ოაზისად იქცა აქ გამართული საინტერესო ღონისძიებებით და აქ მყოფი არაჩვეულებრივი ბიბლიოთეკარებით.

ზევით აღწერილ ღონისძიებას ერთი მნიშვნელოვანი ფაქტიც განსაზღვრავდა. ამ რაიონის ნუკრიაანის მე-2 საჯარო სკოლის დაწყებითი კლასების პედაგოგის, საქართველოს იაკობ გოგებაშვილის საზოგადოების წევრის **ლია ნადირაშვილის** მიერ შედგენილი წიგნის წარდგენა, რომელსაც ესწრებოდნენ იაკობ გოგებაშვილის საზოგადოების საბჭოს თავმჯდომარე აკადემიკოსი **გარი ჩაფიძე** და საბჭოს წევრები. ყველა მათგანმა ახლოს გაიცნო რა პედაგოგის საქმიანობა, საკუთარი თვალით ნახა იაკობ გოგებაშვილის 175-ე წლისთავისადმი მიძღვნილი ხელნაწერი წიგნის ვარიანტი, გაოცებაც გამოხატა და მადლიერებაც ჩატარებული სამუშაოსთვის და საქმის იმ ერთგულებისთვის, რომელიც პედაგოგს გამოუჩენია წიგნის შედგენისათვის.

ქალბატონი **ლია ნადირაშვილი**

> **იმედია, ამ რაიონის პედაგოგები მჯობრეობენ შენაწირებით შეძლებენ ლია ნადირაშვილის ხელნაწერი წიგნის ბეჭდურად გამოცემას, რითაც ძლიერ გაახარებენ წიგნისმოყვარულთა გულებს**

ორი შვილის დედაა, აქვს მშვენიერი ოჯახი, მუშაობს ნუკრიაანის მე-2 საჯარო სკოლაში და ერთდროულად ბევრ სასიკეთო საქმიანობას ეწევა. მისი, როგორც პედაგოგის, ქართველი ქალის, დედის, საზოგადოების რიგითი წევრის, ეროვნული ცნობიერებით სავსე პიროვნების გატაცების საგანი, უფრო სწორად, სახელი არის **იაკობ გოგებაშვილი**. ბოლო ხუთი წლის განმავლობაში ნუკრიაანელმა პედაგოგმა ძირფესვიანად შეისწავლა იაკობის ლიტერატურული მემკვიდრეობა, მასზე დაწერილი ნაშრომები, პირველწყაროებში გაეცნო ამ დიდი მამულიშვილის ნაწერებს, ბევრი მონათხრობი მოისმინა მასზე და შეადგინა წიგნი, რომელშიც შესულია იაკობის საბავშვო პოეზია მთლიანად საავტორო კომენტარებითა და ცნობილ მეცნიერთა შეფასებებით.

ხელნაწერი წიგნი ილუსტრირებულია და თითქმის მზადაა გამოცემისთვის, რაც ძალიან წაადგება დაწყებითი კლასების პედაგოგ-მოსწავლეებს და ზოგადად, იაკობის მემკვიდრეობით დაინტერესებულთ.

ნიშანდობლივია, რომ პედაგოგს ამ საქმიანობაში ჩართული ჰყავს თავისი მოსწავლეები და არა მხოლოდ ისინი. რაიონის ადგილობრივი ადმინისტრაცია, კერძოდ, გამგებელი **დავით ჯანიკაშვილი** და კულტურის განყოფილება, ნუკრიაანის მე-2 საჯარო სკოლის დირექტორი **მარინე მათეშვილი** მორალურადაც ეხმარებიან პედაგოგს და ფინანსურადაც.

წიგნის არსებობისა და პედაგოგ **ლია ნადირაშვილის** თავგამოდებული საქმიანობის შესახებ იციან საპატრიარქოშიც, რაც, ბუნებრივია, თვით ლიასთვისაც თავმოწონებისა და სიამაყის საბაბია.

კრებულში იაკობის ლექსების გარდა ცალკე თემებადაა შესული „იაკობის შეგონებანი“, „დედაენის ქართული ხალხური სიმღერები“, „იაკობის ახსნა-განმარტებანი“, ანდაზები, პირადი წერილები, იაკობისა და აკაკის საზიარო პოეზია, იაკობის პუბლიცისტიკა, მკვლევართა კომენტარები, ბიოგრაფიულ-შემოქმედებითი წიგნების დასახელება და სხვა. წიგნი დასურათხატებულია ლია მასწავლებლის სკოლის დაწყებითი კლასების მოსწავლეების ნამუშევრებით.

„ეს ღირსეული მამულიშვილი შეუპოვარ დარაჯად უდგას ქართველ ერს და სიტყვით და საქმით იგი მწერლობის საშუალებით მედგრად იგერიებს ჩვენსავე მოსეულ მტრებს. იაკობი წმინდათაწმინდა წიგნის „დედაენის“ შემოქმედია, განა ეს პატარა საქმეა?!“ – წერდა თავის დროზე აკაკი წერეთელი იაკობზე.

დღესაც, კვლევა და ძიება იაკობ გოგებაშვილის შემოქმედებისა და ზოგადად მთელი მისი მემკვიდრეობისა, ერთ საშვილიშვილო საქმეს ისახავს მიზნად – ქართველობას ისევ დავუბრუნოთ და შევაყვაროთ დედაენა – მარადიული ღირებულება ერისა, რომლის გარეშე ერი ერობას დაკარგავს.

პედაგოგ **ლია ნადირაშვილის** საქმიანობასაც თავისი ეროვნული მადლი ახლავს, რაც დასაფასებელია და მისასალმებელი. დადგა დრო და აუცილებელიც არის სკოლების დაწყებით კლასებში დედაენა ქართველი ერის უძვირფასესი განძით, ქართული პედაგოგიური აზროვნების ფასდაუდებელი ძეგლით იაკობის „დედაენით“ ისწავლებოდეს. ეს მოსაზრება აქვს საქართველოს საპატრიარქოსაც, რაც შესაძლებელია საქმედ იქცეს, მითუმეტეს, აუცილებელია ეს დღეს, როდესაც ქართველი მოზარდების ერთი ნაწილი მცირე ასაკიდანვე ლამის ინგლისურად იდგამს ენას და მშობლიური ენის მიმართ სიყმაწვილიდანვე ეკარგება ინტერესი.

დაბოლოს, ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ პედაგოგი **ლია ნადირაშვილი** პოეტური ნიჭითაც არის დაჯილდოებული და მისი ლექსებიც ბავშვებს, დედაენასა და სამშობლოს ეძღვნება.

...ვემშვიდობებით ისტორიულ სიღნაღს და გვჯერა, რომ აქაური გოგო-ბიჭები იაკობისა და სხვა ქართველი მამულიშვილების მემკვიდრეობაზე ღირსეულ მოქალაქეებად აღიზრდებიან.

გალაკტიონი მესამეკლასელებთან

ამ უდიდესი პოეტის შემოქმედების ხიბლი სხვა ბევრ რამესთან ერთად ალბათ ისიცაა, რომ მისი ლექსების დაზეპირება მოზარდებსაც ადვილად შეუძლიათ, მითუმეტეს თუ გალაკტიონს ზოგადად საყვარელი მასწავლებელი გასწავლის.

რუსთავის კერძო სკოლა „რუსთველში“ დაწყებითის პედაგოგმა **დიანა ღოღობერიძემ** ორი დღის წინ თავის მოსწავლეებთან: **ლუკა ბენაშვილთან, ელენე ბაინდურაშვილთან, გიორგი ბელაშვილთან, ლუკა კუდუხაშვილთან, ანნა მიქაძესთან, მარიამ საგინაძესთან, ალექსეი მუზაშვილთან, ზვიად ჯაფარიძესთან, მარიამ სადაღაშვილთან, შავლეგ ტაბატაძესთან, მარიამ შარაშენიძესთან, რეზი ჩიხრაძესთან** ერთად ულამაზესი შინაარსის ლიტერატურულ-მუსიკალური კომპოზიცია უჩვენა დამსწრე საზოგადოებას, მშობლებს, სკოლის დირექციას, ი. გოგებაშვილის საზოგადოების საბჭოს წევრებს და უფროსკლასელებს.

III^დ კლასის თორმეტივე მოსწავლემ პოეტის წერილებით, ლექსებით და სიმღერებით მოუთხრო მსმენელს განუმეორებელი ქართველის განუმეორებელი ბიოგრაფია. კომპოზიციას ამდიდრებდა მისივე ცხოვრების ამსახველი კინოკადრები და სლაიდები, რომელსაც მაღალ დონეზე უჩვენებდა სკოლის კომპიუტერული მენეჯერი **დარეჯან მაისურაძე**.

„მე არც წარსულის და არც მომავლის არ მეშინია“ ღონისძიების სახელწოდებად გამოტანილი ამ სტრიქონების ჭეშმარიტებას და პოეტის წინასწარჭვრეტას ადასტურებდა ნიჭიერი გოგო-ბიჭების ბავშვური, მაგრამ ძალიან საინტერესო აღქმა გალაკტიონის პოეზიისა და დამოკიდებულება ამ უდიდესი გენიოსის სახელთან, მის მდიდარ მემკვიდრეობასთან. რაც, უდაოდ, გემოვნებიანი და ერუდირებული პედაგოგის **დიანა ღოღობერიძის** დამსახურებაა. რუსთავის კერძო სკოლა „რუსთველში“ ასეთი საინტერესო ღონისძიებების ჩატარება უკვე ტრადიციადაა ქცეული.

გვერდი მოამზადა
ლია მარტაშვილმა

უკრაინელი პედაგოგი ცეროდენებს ქართულ ენაზე ასწავლის

გლდანის 177-ე საჯარო სკოლის დირექტორმა **გელა ოდიშელიძემ** გატაცებით, შემოქმედებითად მოღვაწე მასწავლებელთა შორის არჩევანი **ელენე ლინნიკზე** შეაჩერა და ის წარმომიდგინა. ელენე უკრაინელი გახლავთ, მაგრამ ისე დახვეწილად საუბრობს ქართულ ენაზე, ბევრ ქართველს შეშურდება. არა თუ ბრწყინვალედ საუბრობს ქართულად, არამედ თავად ასწავლის იაკობ გოგებაშვილის „დედაენას“ ნორჩ ქართველებს.

და ასწავლის ჩინებულად, მაღალ დონეზე. გარდა ამისა, დედასავით ზრუნავს თავის აღსაზრდელებზე. მათი დამრიგებელი და მეგობარია.

ელენე ლინნიკი 17 წელია დაწყებით კლასებში მოღვაწეობს. ვთხოვეთ, ნორჩებთან მუშაობის საკუთარ გამოცდილებაზე წერილობით მოეთხრო. გთავაზობთ მის წერილს.

შვილებივით მიყვარს ჩემი ცუბრუმელები

მიმდინარე სასწავლო წელს მყავს მე-2 კლასი. ორი წელია უკვე ერთად ვართ მე და ჩემი ცეროდენები. ამ ხნის მანძილზე ერთობლივად საკმაოდ ბევრი რამ ვისწავლე, შევქმენით, ვნახეთ და ბევრს მივაღწიეთ. არა მარტო ისინი სწავლობენ ჩემგან, მეც ბევრს ვსწავლობ მათგან. პირველივე წლის შემოდგომაზე პარალელურმა კლასებმა (დამრიგებელი **ნელი ლანჩავაშვილი** და **მაკა მახარაძე**) ერთობლივად ჩავატარეთ საშემოდგომო ზეიმი, სადაც ყველაფერთან ერთად თათარაც მოვადუღეთ, ჩურჩხელები გავაკეთეთ. მივიღეთ მონაწილეობა „ინტელექტუალურ გაკვეთილში“, რომელიც მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლეში ტარდებოდა.

ექსკურსია იგივე ხალისიანი სწავლაა. ჰოდა, ვიყავით იაკობ გოგებაშვილის სახლ-მუზეუმში, ატენის სიონში, უფლისციხეში, მცხეთის სვეტიცხოველსა და სამთავრო მონასტერში, ჯვრის ეკლესიაში, შიომღვიმეში. კარგად მოვემზადეთ და ჩავატარეთ მხატვრული კითხვის კონკურსი. ხშირად დავდივართ თეატრალურ წარმოდგენების სანახავად ნოდარ დუმბაძის სახელობის თეატრში.

ახლახან ვიყავით პანტონიმის თეატრში, რომლის წარმოდგენამ აღაფრთოვანა ბავშვები. ჩვენ თვითონაც ყოველწლიურად ვდგამთ სპექტაკლებს და ვიღებთ მონაწილეობას ზღაპრის საქალაქო კონკურსში, რომელსაც ატარებს მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლე.

შარშან კი მივიღეთ მონაწილეობა ურეკის ზღაპრის ფესტივალში. მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართული სხვადასხვა საგნის ოლიმპიადებში. მოპოვებული აქვთ ბევრი სიგელი და სერთიფიკატი.

ვეწვიეთ ზოოპარკს, ბოტანიკურ ბაღს, ეთნოგრაფიულ მუზეუმსა და საქართველოს ხალხური და გამოყენებითი ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმს. ბავშვებმა საინტერესო შთაბეჭდილებებით გაიმდიდრეს ცოდნა. ერთად ვმუშაობთ შემეცნებით პროექტებზე.

ახლახანს მოვრჩით მუშაობას და გავაკეთეთ პროექტის პრეზენტაცია სახელწოდებით „სათამაშო თუ კომპიუტერი“.

პროექტის ფარგლებში ბავშვებმა დაამზადეს სათამაშოები გადასაგდები მასალიდან, „პაპიე-მაშესგან“. ასევე ცეროდენების ნახელავია რბილი სათამაშოები.

წელს თბილისის მუნიციპალიტეტის გლდანის რაიონის გამგეობისა და ჩვენი სკოლის თანაორგანიზებით დაფუძნდა ზღაპრის ფესტივალი „ცეროდენა“, რომელშიც დიდი იქნება ჩვენი წვლილი. მჭიდრო ურთიერთობა გვაქვს მშობლებთან. ისინი ბავშვებთან ერთად მონაწილეობენ ზეიმებში, პროექტებში, კვლევებსა და, რა თქმა უნდა, ექსკურსიებში.

ყველა შენობას სჭირდება საძირკველი, რომელსაც ვერ შეცვლის ვერც ლამაზი ფასადი, ვერც მოდური ინტერიერი და ვერც ახალი სახურავი. მყარი ფუნდამენტის გარეშე შენობა ინგრევა.

ზუსტად ასეთი ფუნდამენტი ყველა ადამიანის ცხოვრებაში არის დაწყებითი სკოლა და უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ის ცოდნა, უნარ-ჩვევები და თვისებები, რომლებსაც I-IV კლასებში ღებულობენ პატარები.

სწავლება უდიდესი და უმძიმესი გონებრივი შრომაა. მუდმივი გარჯაა საჭირო, რომ დაიმახსოვრო, ისწავლო, ამოხსნა, აითვისო... და ეს შრომა უნდა იყოს სახალისო. სულაც არ არის აუცილებელი, რომ ყოველი გაკვეთილი იყოს სახალისო და გასართობი. მთავარია, რომ ბავშვმა დაინახოს, ირწმუნოს თავისი ზრდა, განიცადოს რთულის ათვისებისგან მიღებული სიამოვნება.

როგორც თქვა ბრძენმა დემოკრიტემ, „იყო მასწავლებელი, რისკიანი საქმეა. წარმატება მიიღწევა დიდი შრომისა და გარჯის ფასად, წარუმატებლობას კი მოაქვს უდიდესი უბედურება“. ამას ამბობდნენ ასევე დავით გურამიშვილი და იაკობ გოგებაშვილი. ყველა ბავშვი არის ინდივიდი.

ოთხი წლის განმავლობაში ჩვენი სკოლის დაწყებითი კლასების ყველა მასწავლებელი ცდილობს, მოსწავლეებში გამოიცნოს მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ნიჭი, მისცეს საშუალება ბავშვს, იამაყოს თავისი თავით. ჩემი კოლეგები ამ ნიჭის განვითარებისთვის ზრუნავენ. პედაგოგების ისეთი გუნდი გვყავს, რომლებიც ბევრ სკოლას შეშურდება.

ჩემი კოლეგები გატაცებით, შემოქმედებითად მოღვაწეობენ. მეც ვცდილობ, მათ მხარდამხარ ვიარო, ვიყო ჭეშმარიტი, მოწოდებით პედაგოგი.

ელენე ლინნიკი,
მე-2 კლასის ხელმძღვანელი

გამოცდილების კვალდაკვალ

კათედრა კეთილი კოორდინატორია

მოწინავე გამოცდილება – ყველას!

ჩვენი, თბილისის 53-ე საჯარო სკოლის დაწყებითი საფეხურის კათედრა მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისათვის ორგანიზებას უწევს სასარგებლო ღონისძიებების განხორციელებას. ამ საქმეში მხარში გვიდგას და აქტიურად გვეხმარება სკოლის ახალი დირექტორი **ეკა გახარია**.

სათანადო ტრენინგის შემდეგ დაწყებითი კლასების პედაგოგებმა დავგეგმეთ და ჩავატარეთ სხვადასხვა სახის ეფექტური სტრატეგიების გამოყენებით გამდიდრებული გაკვეთილები. მე-3 კლასის პედაგოგმა **ქეთევან ხერგიანმა** კათედრის ხელმძღვანელთან კონსულტაციის გათვალისწინებით ჩაატარა ღია გაკვეთილი ქართულ ენასა და ლიტერატურაში.

მაკა აბაშიძე, **ქეთევან ჯოხაძე**, **მარინე ფარულავა**, **ნინო ბურჯალიანი**, **ნონა ნაჭყებია**, **ირმა მალანია**, **ნატო ფურცელაძე**, **თამუნა მოდებაძე**, **თინიკო იაკობიძე**, **ნათია ფირცხალავა** – დაესწრნენ ბაკურიანში მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ორგანიზებით ჩატარებულ კონფერენციას და იქ მიღებული გამოცდილება დანერგეს მუშაობაში.

პედაგოგებმა **ნინო ბურჯალიანმა** და **თამარ ვარდოსანიძემ** კათედრის წევრებს წარუდგინეს მოხსენება თემაზე: **„მზრუნველობა გარემოს მიმართ“**. სკოლის დირექტორის, **ეკა გახარიას** ინიციატივით, დაწყებითი სწავლების კათედრაზე დაიგეგმა და განხორციელდა კვლევა, რომლის მიზანი იყო, გაგვეგო, თუ როგორ იაზრებენ მე-4 კლასის მოსწავლეები წაკითხულ ტექსტს.

დაიგეგმა და ჩატარდა ბევრი სასკოლო და საკლასო ღონისძიება. პარალელური კლასების პედაგოგებმა – **ციცი ფოცხვერაშვილმა**, **ეკა მაჩაბლიშვილმა** და **ირმა მალანიამ** მოამზადეს და განახორციელეს ერთობლივი პროექტი: „გაზაფხული მოვიდა“. ჩავატარეთ ღია გაკვეთილები, განვახორციელეთ პროექტები და სხვა საინტერესო აქტივობები: **ნონა ნაჭყებიამ** – პრეზენტაციები ანბანის თემაზე, **ნინო ბურჯალიანმა** – ინტელექტუალური თამაში: „ეს საოცარი სამყარო“, **მაკა აბაშიძემ** – პროექტ-გაკვეთილი „ჩემი საქართველო“, **სოფო ქოჩიშვილმა** – პროექტ-ექსკურსია „აბრეშუმის ჭია“, **ირმა მალანიამ** – პროექტ-გაკვეთილი „მუსიკალური მათემატიკა“.

საინტერესო მუშაობას ეწევიან: **ნანული ლომიძე**, **ლია სამსონიძე**, **ნინო გელაშვილი**, **მაკა ლურსმანაშვილი**, **ამალია ჭარბაძე**, **ხათუნა პანკრატოვიჩი**, **კლარა აბჟანდაძე**, **თამარ კიკნაველიძე**, **ციალა კრავეიშვილი**.

ლილი თოდუამ დაამუშავა პროექტი „ქართული ანბანის უნიკალურობა და მისი მრავალსაუკუნოვანი ისტორია“. **ქეთი კეჭაყმაძემ** მოაწყო მიზნობრივი ექსკურსია ცისფერ გალერეაში – „ჩვენი თვალით დანახული ფიროსმანი“. **თინიკო იაკობიძემ** – პროექტი „რა დაგვიტოვეს ჩვენმა წინაპრებმა“ – ვაჟას, ილიას, აკაკის ნაწარმოებებში ჩაქსოვილი სიბრძნე. ამ პროექტების ფარგლებში თითოეულ ავტორზე მოვაწყეთ პოეზიის საღამოები, ნაწარმოებებზე შექმნილი ფილმების ჩვენება-განხილვა. **თამარ ვარდოსანიძემ** ჩაატარა ღია გაკვეთილი თემაზე: „კონტინენტები და აღმოჩენები“. **თამილა მოდებაძისა** და **ნატო ფურცელაძის** ერთობლივი პროექტი: „ნიკო ფიროსმანი“, **თამარ ვარდოსანიძის** — პროექტი „ტყე შევუნახოთ შვილებსა“ მეტად საინტერესო იყო.

ასეთი აქტივობებით ეფექტიანი, ნაყოფიერი ხდება სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესი და მაღალ შედეგებზე ვართ ორიენტირებულნი.

ირმა მალანია,
დაწყებითი სწავლების კათედრის ხელმძღვანელი

„იზარდე, მწვანე ჯეჯილო,

აქ ყველგან თოჯინები იცინიან

ღმერთმა დაგლოცოთ, 216-ე ბაგა-ბაღელებო!

დღეს ჩვენი გაზეთის სტუმარია ქალაქ თბილისის გლდანის რაიონში მდებარე 216-ე ბაგა-ბაღი.

ეს არის ადგილი, სადაც საქართველოს მომავალი ფრთიანდება.

ბაგა-ბაღი გამოირჩევა თავისი ესთეტიკურობით. პატარებზე მზრუნველობით, აღმზრდელთა ძლიერი გუნდით, ყველა კუთხე-კუნჭულში იგრძნობა პატარებისადმი სითბო და სიყვარული. მის კედლებში აღსაზრდელების მხიარული ჟრიამული. სიცილი, ცეკვები და სიმღერები არასოდეს წყდება, ყველა კონფორტულად და ბედნიერად გრძნობს თავს – დიდიც და პატარაც.

ბავშვთა ამ ზღაპრულ სამყაროს სათავეში უდგას საოცრად თბილი ქალბატონი ღვაწლმოსილი პედაგოგი **ანუკი კიწმარიშვილი**.

მან 1980 წელს დაამთავრა თბილისის მე-4 საშუალო სკოლა. შემდეგ ჩაირიცხა ილია ჭავჭავაძის სახელობის უცხო ენათა ინსტიტუტში, რომელიც დაამთავრა 1987 წელს. მისი პედაგოგიური დებიუტი შედგა გლდანის რაიონის განათლების განყოფილებაში. თხუთმეტი წელია სათავეში უდგას 216-ე ბაგა-ბაღს და ძალ-ღონეს არ იშურებს პატარების აღზრდა-განვითარებისთვის. მაღალ დონეზე მიმდინარეობს ბაღში სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესი. ყოველმხრივ მოწესრიგებულია ინფრასტრუქტურა. დირექტორი მშობლების და თანამშრომლების სახელით მადლობას უხდის ქალაქ თბილისის მერიას, ბაღების მართვის სააგენტოის უფროსს **თემურ თორდინავას** თანადგომისთვის.

დირექტორის მოადგილე გახლავთ გამოცდილი პედაგოგი **მაკა თაბორიძე**, რომელიც ბევრს აკეთებს პატარების საკეთილდღეოდ.

პატარებს თავს ევლებიან შრომისმოყვარე აღმზრდელები და მათი თანაშემწეები, აღმზრდელები: **მანანა გიკაშვილი**, **ნელი გელაშვილი**, **თინათინ ცირეკიძე**, **ქეთევან კვიცაძე**, **ლარისა ლაბაძე**, **ეკა ქართველიშვილი**, **მარინე იშხანიშვილი**, **თამილა ნებულიშვილი**, **იზა ლაბაძე**, **ნანა ნინიაშვილი**, **თეონა სიდამონიზე**, **ნინი ჭილაშვილი**, **შორენა კვეკვესქირი**, **ანი ჯიმშელეიშვილი**, **მანანა თექთუმანიძე**, **ირმა ფირცხალაიშვილი**, **ლია სიდამონიძე**, **ლამარა ცინცაძე**, **ლია გაბლიშვილი**, **ეკატერინე მამადაშვილი**, **მარიკა კორაშვილი**, **რუსუდან ბედიაშვილი**, **ნინო ოთარაშვილი**. თანაშემწეები: **თამარ პერტაია**, **მაია კანდელაკი**, **ეკატერინე ჯანიაშვილი**, **ირინა ბერიძე**, **ია გელაშვილი**, **მაია ბერიაშვილი**, **ქეთევან პერტია**, **ნინო ლიპარტელიანი**, **სოფიო ტაბატაძე**, **ეკატერინე დადიგვაძე**, **ინა მანუკიანი**, **ნათია წიკლაური**, **ნანა კვეკვესქირი**, **ცისანა ლომთათიძე**, **ქეთევან კანკია**, **მარინე ივანიშვილი**, **მანანა ჭონიაშვილი**, **ია გელაშვილი**.

სწორედ ამ ადამიანების დამსახურებაა პატარების ბედნიერი და ღიმილიანი სახეები. ისინი სიყვარულით, სითბოთი და მთელი პასუხისმგებლობით ეკიდებიან თავიანთ აღსაზრდელებს.

საბავშვო ბაღის სრულყოფილი ფუნქციონირებისთვის ბევრს ზრუნავენ საქმის მწარმოებლები **ნიკოლოზ ნაგლაძე**, **ქეთევან იშხანიშვილი**, ლოგოპედი – **ქეთევან კაკაურიძე**, რომელიც პაწიების სწორად მეტყველებაზე ბევრს ზრუნავს. აღსაზრდელების ინდივიდუალურობას იკვლევს და მათი ფსიქიკის ჩამოყალიბებისთვის მუშაობს ფსიქოლოგი – **მარიკო ჩინჩალაძე**. ბაგა-ბაღის გული და სულია მეთოდისტი – **მაია კიწმარიშვილი**, სამეურნეო ნაწილის კოორდინატორი **ირმა ბერიძე**, პატარების ჯანმრთელობაზე მუდმივად ზრუნავს ჯანმრთელობისა და ჰიგიენის კოორდინატორი, გამოცდილი ექიმი **რუსუდან ჩხატარაშვილი**. გემრიელი საკვებით უმასპინძლდებიან ცეროდენებს მზარეულები **მარინე ყაველაშვილი**, **დარო იაკობაშვილი**, **ხათუნა კვიჟინაძე**, **ნინო აბაშვილი**, **ნელი მუკბაიანი**. მათ მიერ დამზადებული ყუათიანი, არომატული, ეკოლოგიურად სუფთა კერძები ძალიან უყვართ პატარებს.

მინდა აღვნიშნო ის პერსონალი, რომლებიც ძალისხმევას არ იშურებენ, რათა თავიანთი საქმე პირნათლად შეასრულონ. ასეთები არიან: **ლამარა ოსიპიანი**, **ტატიანა მამაი**, **ლუბა მაზმიშვილი**, **ნინო ბეჟანიძე**, **ნინო ლომთათიძე**, **თამარ ჩხატარაშვილი**, **მზისო ნიკოლაძე**, **ნანა ჩაჩანიძე**.

პატარების ცხოვრებას უფრო საინტერესოს ხდის მათ მიერ

ჩატარებული ღონისძიებები, ეწყობა გამოსაშვები, სხვადასხვა დღესასწაულებისადმი მიძღვნილი კონცერტები.

ბაღს მიღებული აქვს უამრავი ჯილდო: სიგელები და მადლობის ბარათები.

პაწიების სულს აფაქიზებენ და მათში ხელოვნების სიყვარულის აღზრდაზე ბევრს ზრუნავენ მუსიკის და ცეკვის ჩინებული პედაგოგები: **მანანა ნიკოლაძე**, **მარინე ბუჯიაშვილი**, **თამარ მახაშვილი**. ხელოვნების კუთხით ბაღში ბევრი პერსპექტიული მომღერლები ფრთიანდებიან, ასევე მოცეკვავეები, დეკლამატორები, მომავალი მსახიობები. აქ ყველა ნიჭიერია, მაგრამ ყველას გაცნობას ვერ მოვასწრებთ. აქტიურობით გამოირჩევიან: სიმღერაში – **ნოდარ თვაური** კარგად მღერის და ცეკვავს: **მარიამ ნაგლაძე**, **ბარბარე ბახტაძე**, **ნია ნიორაძე** (მღერის, ცეკვავს, დეკლამატორია)

ლუკა შაკიაშვილი კარგად კითხულობს ლექსებს.

პოპულარობით სარგებლობენ ნიჭიერი მოცეკვავეები – **ნიკა ქობულაშვილი**, **გიორგი მაისურაძე**, **საბა მირცხულავა**, **ნუცა ჩიხრაძე**, **სანდრო ლომთაძე**, **ნესტან რევაზიშვილი**. მათ წვრთნიან გამოცდილი ქორეოგრაფები: **ია ფეიქრიშვილი** და **სალომე ტაბატაძე**.

ამრიგად, ამ საუცხოო გარემოში იგრძნობა ფაქიზი სული, სიყვარული საქმისადმი, პატარებისადმი. ის, რომ მთელი პედაგოგიური კოლექტივი გულმოდგინებით ეკიდება პაწიების აღზრდის საქმეს შედეგიც სახეზეა – მოწესრიგებული გარემო და უზომოდ ბედნიერი პატარები.

გაზაფხული მოვიდა, მაგრამ ჯერ ისევ ცივა. მალე ბულბულთ გალობა, შაშვების ჭახ-ჭახი, მერცხლების ჭიკჭიკი, ჩიტუნების ჟღურტული გაახალისებს ეზოგარემოს. ბედნიერი ბავშვები გამოეფინებიან ულამაზეს ეზოში, თამაშით და „მხიარული სტარტებით“ აახმაურებენ მიდამოს.

ღმერთმა დაგლოცოთ, 216-ე ბაგა-ბაღელებო!

ნანა ფიფია



„დაპურდი, გახდი ყანაო!“

სალამი, 153-ე ბაგა-ბაღელებო!

გაზაფხულია, სიხარული დამკვიდრებულა

გვეწვია ნანატრი გაზაფხული. ხალისიანი განწყობილება დაუფლებია მუხიანის დასახლებაში პოპულარულ 153-ე ბაგა-ბაღს, რომელსაც ღვთის ლოცვად ევლინება იქვე მდებარე ეკლესიიდან წამოსული ზარის ხმა. მწვანედ მოხასხასე ვრცელ ეზოში ცხენი გაჭენდება. ცეროდენები ბაღნარში რომ გამოეფინებიან, მათი ჟრიამული ცასა წვდება. ამ სურათს რომ უყურებს, მოხუციც თავის ბავშვობას წარმოიდგენს და შესძახებს: „ახალგაზრდობის დღეებო, დაბრუნდებოდეთ ნეტავი!“

მალე ბულბული შემოეჩვევა ამ ეზოს და შაშვის ჭახჭახიც გაგვახალისებს.

ცეროდენების ამ ზღაპრული სამყაროს დიდი დიასახლისია გამოცდილი პედაგოგი, ცუგრუმელებზე უზომოდ შეყვარებული დირექტორი **ლია გასიტაშვილი**. პატარებთან მუშაობის 30 და დირექტორობის 20 წლის სტაჟი ამშვენებს მის ბიოგრაფიას. სულხან-საბას პედაგოგიური უნივერსიტეტდამთავრებულმა თავიდან აღმზრდელად დაიწყო მუშაობა 174-ე ბაგა-ბაღში, შემდეგ ფსიქოლოგად გადავიდა 140-ეში და მალე აქ დირექტორად დაწინაურდა.

კარგა ხანია 153-ე ბაგა-ბაღს მეთაურობს. ქალბატონი ლია უყვართ ცეროდენებს, მათ მშობლებს, თანამშრომლებს, რადგანაც ყველას მიმართ მზრუნველია, ყურადღებიანია, მეგობრულია. მისი ხელმძღვანელობით ამ სასწავლო წელს ბევრი მნიშვნელოვანი საქმე გაკეთდა. პირველ რიგში: ეს ვრცელი ეზო შემოკავდა რკინის მწვანე ღობით. ბაგა-ბაღი ვერ აუდიოდა მშობელთა თხოვნას მოყვანილი ბავშვების მიღებას და მშობელთა გასახარად დირექტორის ძალისხმევით ორი სააღმზრდელო ჯგუფი დაემატა.

– მშობელთა და თანამშრომელთა სახელით ამ პრობლემების მოგვარებაში დახმარებისთვის დიდი მადლობა უნდა მოვახსენო დედაქალაქის მერიას, განსაკუთრებით კი ბაგა-ბაღების სააგენტოს უფროს **თემურ თორდინავას**, – განაცხადა დირექტორმა.

მოწესრიგებულ ინფრასტრუქტურაზე სიტყვას არ გავაგრძელებ. გარეთ და შიგნით კი – „რა გიამბოთ ქება მისი, რა სიტურფე, რა ნაზობა“.

აქ ყველგან აკურატულობა და სისუფთავე სუფევს. აქ ყველგან თოჯინები იცინიან. სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა მაღალ დონეზე დგას, რაც გამოცდილი მეთოდისტების **ნინო გოსტამაშვილის** შემოქმედებითი აქტიურობის შედეგია.

ბაგა-ბაღის წინსვლა-გაძლიერებაში დიდი წვლილი შეაქვს დირექტორის მოადგილეს **ირმა შავშიშვილს**, ხოლო შრომისმოყვარე, გამოცდილ, წარმატებით მოღვაწე მნეს **ეთერ სამხარაძის** მიმართ ქებისა და მადლობის მეტი არაფერი ითქმის.

საქმის მწარმოებელი ბუღალტრის ფუნქციასაც ითავსებს. პასუხისმგებლობით ეკიდებიან, მუდამ დროულად და აკურატულად ასრულებენ ამ მოვალეობას **მზია თოდაძე** და **კარლო ნაგლაძე**.

პატარების ჯანმრთელობის სადარაჯოზე, როგორც ყოველთვის მტკიცედ დგას და მათ ინფექციებს ახლოს არ აკარებს კვალიფიციური ექთანი **ნელი მახარაშვილი**.

ნორჩების მეტყველების განვითარებასა და სულიერი მდგრადობის ჩამოყალიბებაზე ზრუნვა თავიდანვე იწყება. ამ კუთხით ბევრს მუშაობენ და სასურველ შედეგებს აღწევენ საქმის პროფესიონალები: ფსიქოლოგი **ელისო სამხარაძე**, ლოგოპედები: **თამარ ქურდაძე** და **მანანა ბეროზაშვილი**.

მუსიკალური დარბაზიდან ტკბილმშობლიური ჰანგები ეფინებოდა მიდამოს. „სანეტარო ხმები ისმის გული ლხინით აივსო!“ გაზაფხულის მეჯლისისთვის ამეცადინებდნენ ნიჭიერ ცუგრუმელებს მუსიკის ჩინებული მასწავლებლები: **ნინა ლომსაძე**, **მარინე ნიავაძე**, **მადონა ცერცვაძე**. მეტად პოპულარულია ბავშვებში ცეკვის მასწავლებელი **სოფიო კვალინიძე**. ისინი სულს უფაქიზებენ ნორჩებს, ხელოვნებისადმი მიდრეკილ ნიჭიერებს გზას უჩვენებენ, აკვალიანებენ. ბევრი პერსპექტიული, იმედის მომცემი მომავალი მომღერალი, მოცეკვავე, მხატვარი, დეკლამატორი გავიცანით, აღმზრდელ **ლელა გოჩიაშვილის** ჯგუფში. „ბაღის ბულბულს“ ეძახიან **თორნიკე სიდამონიძეს**. დიდებულად ცეკვავს **ანანო შათირიშვილი**. აქტიურობით გამოირჩევიან: **ავთანდილ აბრამიძე**, **მიქაელ ნაზარიშვილი**. სხვა ჯგუფებიდან კი: **თათა ჩაჩანიძე**, **ნიკა გელაშვილი**, **საბა ბაკაშვილი**, **საბა კომლაძე**, **ნიკა დიასამიძე**. აღმზრდელ **ინდირა აბრალავას: ანა დათიკაშვილი**, **ნინო ბუცხრიკიძე**, **ანა გველესიანი**, **დათო გაჩეჩილაძე**, **დაჩი ქათამაძე**, (მოჭადრაკე), **თეო ხანიშვილის: ლუკა ჩიქვინიძე, ანა შარიქაძე, ლაზარე შარიქაძე, გია არახამია. ნინო გალდავასი: ბაჩანა ბაძგარაძე**, **მარი პატაშვილი**, **მარი მჭედლიშვილი**, **ელენე ქასრაშვილი**, **ბაჩო ქობალავა. ნინო გელაშვილის**: **ანანო მაზმიშვილი**, **ნატა ჭელიძე**, **ნიკა კაპანაძე**, **გაბრიელ ბაქრაძე** და სხვები.

ყველაფერი ეს, ასეთი მომავალი თაობა რომ ფრთიანდება, თქვენი დამსახურებაა, ძვირფასო აღმზრდელებო და თანაშემწეებო. დაგელოცოთ მარჯვენა! **ლია გასიტაშვილმა** მაღალი შეფასება მისცა თქვენს ღვაწლს და მადლობა გადაგიხადათ.

გამოცდილი დამსახურებული აღმზრდელების: **ეკა ფაფიაშვილი**, **მარიამ თოდაძის**, **ნინო გალდავას**, **ინდირა აბრალავას**, **თეა ხანიშვილის** მხარდამხარ გატაცებით შრომობენ: **ნანა ხაბაზიშვილი**, **თამარ მახარაშვილი**, **ნანა ირემაშვილი**, **ნონა გოგილაშვილი**, **ნაირა სირაძე**, **ნინო გელაშვილი**, **ალა ყიფიანი**, **ირინე ენდელაძე**, **მარინე ბეგლარაშვილი**, **ხათუნა რამიშვილი**, **ნანა ებრალიძე**, **როზა გიორგობიანი**, **ირმა აბულაძე**, **იზა ყაზიაშვილი**, **ირმა ცხვედაძე**, **გულნაზ მამადაშვილი**, **ლელა ქუსაშვილი**, **ლალი ჯაბიშვილი** და მათი თანაშემწეები.

ცეროდენებს ძალიან უყვართ და სიამოვნებით მიირთმევენ გემოვნებიანი მზარეულის **ზეინაბ გოგინაშვილის**, მისი თანაშემწეების: **როზა გელაშვილის**, **რუსუდან ბეკურაშვილის**, **იზო ბეკურაშვილის** მიერ დამზადებულ ყუათიან, არომატულ კერძებს.

მოკლედ თუ ვიტყვით, ნორჩების კვება უმაღლეს დონეზეა.

ბაგა-ბაღში ბევრი მხატვრული თუ სპორტული ღონისძიება ტარდება, რომელიც პატარების აღზრდა-განვითარებისკენ არის მიმართული. აი, თუნდაც დიდებულად ჩატარდა „თბილისობა“ ანუ „შემოდგომის ფესტივალი“, საახალწლო ნაძვისხის ზეიმი „დედის დღის“ და „გაზაფხულის“ მეჯლისი. მაისში „ყვავილების კარნავალი“ ჩატარდება. მოეწყობა სპორტული სანახაობა „მხიარული სტარტები“.

შარშან დიდი ზეიმით გააცილეს და პირველი კლასისკენ გზა დაულოცეს 120 ბაღდამთავრებულს. წელსაც ამდენივე სკოლისთვის კარგად მომზადებული ცეროდენა შეუდგება ცოდნის ბილიკებს.

კიდევ ბევრი კეთილი სიტყვის თქმა შეიძლება ბაგა-ბაღზე, მის დირექტორ **ლია გასიტაშვილზე**.

გაზაფხულის დადგომით გამოწვეულ დიდ სიხარულს გილოცავთ, 153-ე ბაგა-ბაღელებო! მუხრან მაჭავარიანის სიტყვებით მოგმართავთ: „კიდევ უფრო ბევრი შვილი გამოზარდე სასახელო, კიდევ ერთი რუსთაველი, კიდევ ერთხელ აამღერო, გევალება, ჩემო ბაღო, გაგიმარჯოს საქართველოვ!“

მაია მიშველაძე

დემირელის სახელობის კოლეჯში

სწავლის მაღალი ყი ანა, უმაღლესი ლინეა

სათაურად გამოტანილი ეს სიტყვები მათი სლოგანია. დემირელის სახელობის კოლეჯი საერთაშორისო მასშტაბით ბრწყინავს. ამაში უმალ დარწმუნდებით, როგორც კი ფოიეში ფეხს შედგამთ. დიპლომების, სიგელების, სერთიფიკატების, ჯილდოების „რა სიუხვეა, რა სიმრავლეა“. მოწესრიგებულ ინფრასტრუქტურაზე სიტყვას არ გავაგრძელებ.

კოლეჯს შემოქმედებითი გატაცებით მოღვაწე დირექტორი **მუსტაფა ოზდეში** უდგას სათავეში.

პირველი კითხვა, რომელიც დირექტორის ნიჭიერ, ენერგიულ მოადგილეს, **თამარ წამალაიძეს** დავუსვით, ასეთი იყო: „რამდენი სამეცნიერო ხარისხის მქონე პედაგოგი გყავთ? – აქ ყველა დოქტორია, – მიპასუხა ხუმრობით, – ყველა სერთიფიცირებულია. გამორჩევით კი უნდა ვახსენო მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი **აჰმედ ჩაქირი**, რომელიც რამდენიმე სასწავლო წიგნის ავტორია. შემთხვევით არ დამისვამს ეს შეკითხვა. მხოლოდ ძლიერ პედაგოგებს ძალუძთ ზემოჩამოთვლილი შედეგების მიღწევა.

მაღალ შედეგებზე ორიენტირებული სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის წარმართვაში უდიდესი წვლილი შეაქვთ სხვადასხვა დარგში დირექტორის მოადგილეებს: **ნინო კავთიაშვილს**, **გიორგი შაბურიშვილს** და **ჰუსეინ ჩეფიქის**.

საგნობრივი კათედრების ეფექტიანი მუშაობა ხომ ყველაფრის თავიდათავია. ნაყოფიერად, უნარიანად უძღვებიან კათედრების საქმიანობას გამოცდილი ხელმძღვანელები: ქართული ენა-ლიტერატურის კათედრას – **თამარ წამალაიძე**, მათემატიკისას – **აჰმედ ჩაქირი**, ინგლისური და რუსული ენისას – **თათია პაჭკორია**, ისტორიისას (სამოქალაქო განათლება) – **ნათია რიჟამაძე**, თურქული ენისას – **მამუკა ხოზრევანიძე**, საბუნებისმეტყველო საგნებისას – **თინა ბუთხუზი**, ხელოვნება-მუსიკა, სპორტის კათედრას – **მაია მაისურაძე**, დაწყებითი კლასებისას – **ირმა ამირანაშვილი**.

კლასის ხელმძღვანელები რომ კოლეჯის სული და გული არიან ამას მტკიცება არ ჭირდება. დირექცია მაღალ შეფასებას აძლევს: **თამარ თეთრაძის**, **მარიამ მერკვილაძის**, **ირმა ბაჯელიძის**, **თამარ პაჭკორიას**, **სალომე კერვენჯიას**, **სოფიო კაპანაძის**, **მარი წერეთლის**, **ირინე იაკობიძის**, **ანა ძნელაძის**, **ლიკა ბეროშვილის**, **ხატია ზურაშვილის**, **თამილა მახარაშვილის**, **ნანა გაბელაიას**, **რაბია ჩაქირის**, **ბურჰანეთინ იარაშის**, **სუმეირა შაჰინის**, **ბილალ ოზთურქის**, **ქადირ ოლდირიმის**, **სინან საჰინის**, **ომერ შაჰინის**, **მუზაფერ უჩარის**, **ქადირ არსლანის**, **ჰუსეინ ჩეფიქის** თავდადებულ მოღვაწეობას.

შარშან კოლეჯი 38-მა მოსწავლემ დაამთავრა და დღეს ყველა სტუდენტია. ოქროს მედალოსნები იყვნენ: **ანა აზაურაშვილი**, **ფატი გუგბერიძე**, **სოფიკო გუმბარიძე**, **ანა მახარაშვილი**, **ლადო მელიქიძე**, **სოფია თურაძე**, **ლალი კაჩარი**. ვერცხლი მოიპოვა **მარიამ ვაშაკიძემ**.

საგნობრივ ოლიმპიადებში 14 მოსწავლე III ტურში გავიდა. მათ შორის საქართველოს ოლიმპიური ნაკრების წევრები არიან: მათემატიკაში – **საბა სხირტლაძე** და **ნუგზარ ჩხაიძე** (XI კლასი). ამ მოსწავლეებმა დიდ საერთაშორისო კონკურსებში გაიმარჯვეს და კოლეჯი ასახელეს.

მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა დროს ჩატარებულ ინფორმატიკის საერთაშორისო ოლიმპიადებზე ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს: **ზვიად მეტრეველმა**, **რატი გელაშვილმა**, **მარიამ კობიაშვილმა**, **ლევან ვარამაშვილმა**, **გიორგი გულიაშვილმა**.

ზოგიერთი მათგანი ცნობილი ბიზნესმენი გამოვიდა. მაგალითად, **ზვიად მეტრეველი** ამერიკაში მოღვაწეობს. წარმატებული ბიზნესმენები არიან: **აკაკი მელაძე**, ძმები – **ირაკლი** და **გოგიტა გოგიები**. ისინი მშობლიურ კოლეჯს მორალურად ფინანსურად ეხმარებიან.

კოლეჯის ნიჭიერი მოსწავლეები ყოველ წელს ხალისით ერთვებიან თურქული ენისა და კულტურის საერთაშორისო ოლიმპიადებში, რაშიც მსოფლიოს 150 ქვეყანა მონაწილეობს და ამ ძლიერ კონკურსებში ხშირად იმარჯვებენ.

გერმანიაში გამართულ ამ რანგის ოლიმპიადაში თავი გამოიჩინა და კოლეჯი ასახელა IX კლასელმა **ირინე ხეჩიანოვმა**, რომელმაც I ადგილი და ოქროს მედალი დაიკაკუთრა.

ასევე კოლეჯის სიამაყე გახდა **ნიკა სვანიძე** (IX), რომელმაც ამერიკასა და ჰოლანდიაში (პროექტით „ბიოგაზი“) დიდ გამარჯვებას მიაღწია.

იმდენია წარმატება, ყველას ვინ ჩამოთვლის. ჩვენ მხოლოდ ზოგიერთი, ყველაზე გამორჩეული მიღწევა წარმოვადგინეთ.

ახლახან ამერიკაში დაღუპული კურსანტები: **ბესარიონ გორჯოლაძე** და **სოსო მაკარიძე** დემირელის კოლეჯის აღზრდილები არიან. მათი სახელის უკვდავსაყოფად კოლეჯში სპეციალური ხსოვნის წიგნია გახსნილი.

კოლეჯში სარეზერვო საბავშვო ბაღი ფუნქციონირებს. მოსწავლეებს კეთილმოწყობილი სასადილო ემსახურება. რაიონებიდან მათი უსაფრთხო ტრანსპორტირება უზრუნველყოფილია.

არსებობს სადღეღამისო მომსახურების პანსიონატი. მდიდარ ბიბლიოთეკას უნარიანად უძღვება **ირმა ლომოური**. ექიმი **თამარ გოგოტიშვილი** მოსწავლეთა ჯანმრთელობაზე ბევრს ზრუნავს.

პოპულარულია საქველმოქმედო კლუბი „თანადგომა“ (**ლიკა ბეროშვილი, რამია ჩაქირი**). ცეკვის კლუბს უძღვება **ნანა ბექტურაშვილი**.

კოლეჯმა შარშანწინ იზეიმა დაარსებიდან 20 წლის იუბილე. დღესაც განაგრძობს იგი გამარჯვების გზაზე სრული სვლით სიარულს.

ბორის მიშველაძე,
პედაგოგიკის დოქტორი

აქ ბევრი საინტერესო სიახლეა

თბილისის 24-ე საჯარო სკოლაში

თბილისის 24-ე საჯარო სკოლა წლების მანძილზე ატარებდა ჩეხი განმანათლებლის იან ამოს კომენსკის სახელს. ახლო კონტაქტები არსებობდა ჩეხეთის საელჩოსა და ბრატისლავის სკოლასთან. სკოლაში მუშაობდა ჩეხური ენის მასწავლებელი. სკოლის სკვერში მოქმედებს ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის ეკლესია.

დღეს სკოლას ახალი დირექტორი ჰყავს – **გიორგი კაკაბაძე**, რომელიც ენერგიულად შეუდგა მოღვაწეობას.

24-ე საჯარო სკოლის უამრავ სახელოვან კურსდამთავრებულთა შორის არიან: **პაატა ბურჭულაძე**, **გოგი დოლიძე**, **ლევან წულაძე**, **ნიკოლოზ წულუკიძე**, **ირაკლი ჩოლოყაშვილი**, **ლევან მამალაძე**.

დღეისათვის მოსწავლეთა რაოდენობამ სკოლაში 1500-ს გადააჭარბა. ვცდილობთ მშობლები მეტად ჩავრთოთ სასწავლო-აღმზრდელობით პროცესებში და მივაწოდოთ მეტი ინფორმაცია. კლასის დამრიგებლის მოვალეობების უფრო მოხერხებულად წარმართვის მიზნით, რაც მშობელთან ყოველთვიური ანგარიშის ვალდებულებას ნიშნავს, შემუშავებულია ფორმა, რომელშიც აისახება მოსწავლის აკადემიური მოსწრებისა და დისციპლინური სახდელის შესახებ ინფორმაცია. მშობელი ყოველი თვის ბოლოს ეცნობა შეჯამებულ ინფორმაციას. დამრიგებელი კი ანგარიშის ფორმებს აბარებს დირექტორის მოადგილეს.

სკოლაში დილის დაგვიანებების შემცირების მიზნით დაწესდა მასწავლებელთა მორიგეობა. დამგვიანებელთა სია მიეწოდება სკოლის დირექტორს და ეცნობება მშობელს SMS შეტყობინებით.

უშუალოდ კონტროლდება კლასში საგაკვეთილო პროცესი, რისთვისაც შემოღებულია დამხმარე ჟურნალი. საგნის პედაგოგი, გაკვეთილის მიმდინარეობისას აკვირდება მოსწავლეთა ქცევას, ჩართულობასა, მზაობას და აკეთებს შესაბამის აღნიშვნას. ყოველი დღის ბოლოს, მშობელს SMS შეტყობინების სახით მისდის შეჯამებული ინფორმაცია მისი შვილის შესახებ და ახდენს რეაგირებას.

ამ ჟურნალის დახმარებით გაკონტროლდა საბაზო და საშუალო საფეხურის ყველა საგაკვეთილო პროცესი თითქმის მესამედამდე შემცირდა გაგზავნილი SMS-ის რაოდენობა. შეიქმნა ერთიანი ბაზა, რომელშიც აღრიცხულია მოსწავლის ყოველდღიური საქმიანობა და მშობელს ერთი თვალის გადავლებით შეუძლია გაიგოს თუ სად და რომელ გაკვეთილზე, როგორ იქცეოდა მისი შვილი.

ყველა საგნობრივ კათედრას ჰყავს სარეზერვო მასწავლებელი, რომელიც მოხერხებულად ანაცვლებს პედაგოგს, თუ იგი ოჯახური პირობებისა, ან ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ვერ გამოცხადდება სკოლაში. ამ ყველაფრის მეშვეობით მთლიანად მოწესრიგებულია სასწავლო პროცესი.

სკოლა ჩართულია პროექტებში „ვუერთდებით ევროპას“ და შემეცნებითი საუბრები“. პედაგოგები მეგობრობენ სომხეთის კერძო სკოლა „mxiTar sebastaci“ -სთან და ვახორციელებთ ერთობლივ პროექტს „ეკოტური – 2015“. მოსწავლეები აქტიურ მონაწილეობას იღებენ ინტელექტუალურ თამაშებსა და გასართობ თუ სპორტულ ღონისძიებებში.

აქტიურია მოსწავლეთა თვითმმართველობაც. იგი საკუთარი ინიციატივით და ორგანიზებით აწყობს ინტელექტუალურ კონკურსებს, საქველმოქმედო აქციებს, დოკუმენტური ფილმების კონკურსებს, სხვა შემეცნებით და გასართობ ღონისძიებებს.

დაგეგმილია მომავალშიც მრავალი ღონისძიება და სკოლა იმედით გასცქერის მომავალს. ასეთი მუშაობით შენარჩუნებული იქნება წარმატებული სკოლის სტატუსი.

ამდენად, თბილისის 24-ე საჯარო სკოლა კვლავ რჩეულთა შორის იქნება.

რომან მოსეშვილი

ამაზე გაჩუმება არ შეიძლება

წერა-კითხვა ხომ არ გაიწყდებათ?

ინდაურივით თავშეყოფილი შვილიშვილები ვერ მოვაშორე კომპიუტერს. პატარები კიარა, ჭარმაგებიც კი გადარია ცივილიზაციის ამ მონაპოვარმა, მის ჯანმრთელობას დაემუქრა, იოლად ფონს გასვლის სენი შეჰყარა, ლამის წიგნი და კალამი ხელიდან გააგდებინოს, ნარკოტიკივით შეიჩვია. ამას მე კი არა, ექიმები და ფსიქოლოგები მეცნიერულად ამტკიცებენ. წიგნი რომ წაიკითხო და ცოდნა შეიძინო, ამას შრომა უნდა, ენერგიის დაძაბვა, ტვინის შეწუხება. კაცის ბუნება ასეთია: ყველაფრის იოლად მიღწევა უნდა, ოფლის დაუღვრელად.

დღეს იდიოტი უნდა იყო, კომპიუტერის მნიშვნელობა-სარგებლიანობას არ აფასებდე, მაგრამ მედალს ხომ მეორე მხარეც აქვს? მაშ, რა ვქნათ? სად ვეძებოთ გამოსავალი? ფსიქოლოგების აზრით, კომპიუტერით და მობილურით უსაზღვრო გატაცება (სულ ერთია, მოზარდი იქნება თუ ზრდასრული), პიროვნებას ერთგვარად ცლის ემოციებიდან. მოდით, ასე დავსვათ კითხვა: ამაღლდა თუ არა სწავლის, შეთვისებული ცოდნის დონე და ხარისხი, მას შემდეგ, რაც ცხოვრებაში ასე უმძლავრესად შემოიჭრა კომპიუტერი? მოსწავლე, სტუდენტი გადაეჩვია დამოუკიდებელ აზროვნებას. რაზე შეიწუხოს თავი, როცა აგერ შეყოფს თავს და იოლად მიიღებს რა და რა გინდა ინფორმაციას. ამიტომ, რატომ შეიწუხებს თავს მოსწავლე, სტუდენტი წერით, კონსპექტების შედგენით, არ ჯობია, შევყოფ თავს ინდაურივით, იმდენ ინფორმაციას მივიღებ, რომ... მაგრამ იმ ზღვა ინფორმაციის ათვისება არ გინდა?

თანდათან გადაეჩვია მოზარდი წიგნის ხელში აღებას. რამდენიმე პოეტს ვიცნობ, „ჯღაბნა მეზარებაო“ ამბობს და პირდაპირ კომპიუტერით ააწყობს მუზის ნაყოფს. ხალხური სიბრძნე, გაგვიგონია: „ქარის მოტანილს ქარი წაიღებსო“, ე. ი. ადვილად შესწავლილი, ადვილად გავიწყდება. ფსიქოლოგები ამბობენ: „რაც მეტი გრძნობათა ორგანო მონაწილეობს აღქმაში, მით მეტია შთაბეჭდილებათა კვალი (დამახსოვრება) ჩვენს ცნობიერებაში“.

თუ შენ წიგნს იშვიათად წაიკითხავ. თუ შენ იშვიათად დაწერ რამეს, შეუმჩნევლად ორივეს გადაეჩვევი.

ამას წინათ, საზოგადოებრივმა მაუწყებლობამ ძალზე საჭირო გადაცემა შემოგვთავაზა, რისთვისაც დიდ მადლობას მოვახსენებთ. მოწვეული ჰყავდათ ხელნაწერთა ინსტიტუტის თანამშრომლები, რომლებმაც განგაშის ზარი შემოკრეს ქართული ასოების მართლწერას, კალიგრაფიას საფრთხე შეექმნაო. ექვსი წლის ლუკას წერას ასწავლიდნენ, ვერ სწავლობდა. ვინც წერა იცის, ჯღაბნის. კონსტანტინე გამსახურდია კი ნახატივით ლამაზ ქართულ ასოებს ეალერსებოდა: „ანი ნამგალს ჰგავსო, ბანი – ყელწერწეტა დოქს“. მაშ, რა ვქნათ? რა და, ბოროტად ნუ ვისარგებლებთ (განსაკუთრებით ბავშვები) კომპიუტერით, თორემ თავად გავხდებით მისი მსხვერპლი. რომში ერთ-ერთი საფლავის ქვას აწერია: „იგი ჭამდა და სვამდა ზომიერად“ და სწორედ იმ კაცმა 120 წელი იცოცხლა. „მეტის მეტი – ბრეტისბრეტი, ასე უთქვამთ ძველებს“. კალმახზე უფრო მარგებელი თევზი, აბა რომელია? მაგრამ ზომაზე გაცილებით მეტს რომ მიაძლა ლუარსაბი, „დაემართა კუჭის ანთება და ჩაბარდა პატრონს“.

კომპიუტერი ვერასოდეს შეცვლის წიგნს, წერა-კითხვას. იგი სწავლების უმაღლესი დონის ტექნიკური, დამხმარე საშუალებაა.

ექვსი წლის წიწილასავით შეუბუმბლავ პირველკლასელს ნუ მივაჩეჩებთ კომპიუტერს. მოდით, მისი გამოყენება მეოთხე კლასიდან დავაწყებინოთ. მკითხველო, ამ პრობლემაზე შეიძლება დუმილი? მოდით, თქვენი მოსაზრება გვითხარით!

ბორის მიშველაძე

პანაცეა?

იკურთხე, მხსნელო წამალო!

მთელი ერთი წელია, შემომეჩვია წელის ტკივილი. კარგახანს ვუთმინე და ნამუსი რომ აღარ იქონია, მივადექი კლინიკაში ჩემს ექიმს.

– წამალი კეტონალი წაისვი და მორჩები.

ნაცნობ პროვიზორისაგან აფთიაქში შევიძინე კეტონალი და დავიწყე წასმა ყოველ დილა-საღამოს. კეტონალი მორჩა, მაგრამ წელი არ მორჩა. მეორეჯერ გამოვიყენე კეტონალი, მაგრამ – ამაოდ. გადავწყვიტე, შემეცვალა წამალი. ნაცნობ პროვიზორს ისევ მივმართე. მან ამოიღო თავისი „კარაბადინი“ და სულმოუთქმელად ჩაარაკრაკა:

– ტექსამენი, რადოფენი, დიკლოფენი, კეტო გელი, კონდრომიცინი, ნაკლოფეინი, ნაპროქსენი და ასე შემდეგ.

დავიწყე ჩამოთვლილი წამლებიდან ხან ერთის წასმა, ხან – მეორისა. არა და არ მიშველა, კვლავ მოკაკული დავრჩი.

დადგა გაზაფხული, ზაფხული და წელის ტკივილმა თავი დამანება. მეგონა, მოვრჩი, მაგრამ დაიწყო თუ არა შემოდგომა და სიცივეები, მაშინვე თავი წამოყო წელის ტკივილებმა.

ქუჩაში გადახრილი მივდიოდი. ტრანსპორტში შესვლა მიჭირდა, რაც უფრო მაღალი იყო საფეხური, მეტს ვყვიროდი ვაი-ვაის.

თავისუფლების მეტროს წინ საწერი პასტების ყიდვა მოვიწადინე. საუბედუროდ, ლარიანი გამივარდა ხელიდან და დაეცა ჩემს ფეხებთან. მინდა დავიკუზო და ავიღო მონეტა, ვერ ვიხრები, დავუწყე ამ მონეტას გარშემო ტრიალი. შემამჩნია ერთმა მანდილოსანმა, დააავლო ხელი და მომაწოდა. შინ მეუღლეც შევაწუხე.

ჩემი წელის ტკივილმა შეძრა მთელი სამეგობრო და მეზობლები. ძმაკაცმა გურამმა მირჩია, გამომეყენებინა წიწაკის საფენები. იმანაც ვერაფერი მიშველა. ისევ ნაცნობ პროვიზორთან ვარ. მითხრა, ახლა მოგცემ „ვეფეხვს“ და ნახე რა გიქნასო! ვერაფერი მიქნა. „ვეფხვიც“ წიწაკის საფენი იყო.

მეზობელმა ოლეგმა ეკლესიიდან მომიტანა ფლაკონი, სადაც ცოტა წამალი დარჩენილიყო. ერთ წასმაზე გეყოფა და გიშველისო. ფლაკონს ეწერა „მალამო მენტორი“. ღამით წავისვი. დილით ტკივილები მოხსნილი იყო. ფლაკონზე მიკრულ ქაღალდზე ავტორის გვარი და ტელეფონის ნომერი ამოვიკითხე. „მენტორის“ ავტორმა სამ დღეში მთლიანად მომარჩინა. პროფესორებისა და აკადემიკოსების შექმნილმა წამლებმა ვერაფერი მიყო. რიგითი არასპეციალისტის, სახალხო მკურნალის წამალი კი პანაცეად მომევლინა.

ჭკუას მოუხმე! – მითხრა ჩემმა მეგობარმა გურამმა, თუ 4 ლარიანმა წამალმა გიშველა, ნუღარ შეიძენ აფთიაქში 24 ლარიანს. ადექი და წაისვი ის, რომელიც მოგიხდა.

დიახ, ვთქვი და ლოცვა-კურთხევა შევუთვალე „მალამო მენტორის“ ავტორს, კეთილ მკურნალს **იური ღვანიძეს**.

ტარიელ მუმლაძე,
მწერალი

ლინდა ზუმბერიძეს ვულოცავ დაბადების მე-5 წლისთავს! ვუსურვებ ბედნიერებას, ლამაზ სამშობლოში ცხოვრებას და მოსწავლეობას!..
გიგი ოქროპირიძე.

უწყინარი წკიპურტები

„ჟურნალისტის ზნეობანი“

არჩილ მეფეს დაგვიწერა „საქართველოს ზნეობანი“, მე კი „ჟურნალისტის ზნეობანი“ უნდა წარმოვადგინო, – ამას ვაცხადებ მოსე მწერალი. ჟურნალისტის მორალური კოდექსი რა ხანია დაწერილიაო, – წამომიხტა ინტრიგანი. – დასახვეწია, ჩემო მავანო, დღევანდელობაზე მოსარგებია.

ერთი ძველი ამბავი მახსენდება:

სახელოვან 77-ე (გრიგოლ კობახიძის) საკოლაში იოსებ ნონეშვილი მოსწავლეებთან შეხვედრაზე მთელი გატაცებით ენამზეობდა: „მაგრამ კარგო, იცი რა? გულმა ვერ მოიცალა ნატვრა შენთან ყოფნისა“. გვერდით ფოტოკორესპონდენტი გენადი სანაია აეტუზა: „ბატონო იოსებ, ცოტა აქეთ მობრუნდით, აი, ასე დადექით! „ჰა!“ – დაიბნა პოეტი, რაღაც ძაფი გაუწყდაო, საკუთარი ლექსი დაავიწყდა.

ახლა ამასწინათ ნანახზე მოგითხრობთ. ტელეგადაცემა „იმედის კვირაში“. ოთხი-ხუთი ჟურნალისტი ერთდროულად შეება პარლამენტის თავჯდომარის მოადგილე მანანა კობახიძეს. ინგა გრიგოლია გამომძიებლის ჩაძიებით ეკითხება რაღაცას. მანანა ცდილობს აზრის დალაგებას. ვინ აცალა წინადადების დასრულება. მე-13 გოჭივით წამოხტა შალვა რამიშვილი, ირბინა იქით-აქეთ და კოხივით დააყარა კითხვები. შალვას დუტა ჩაერია. დუტამ წამოხტომა არ იცის, სავარძელში ირწევა რუზველტივით და ისე ასწავლის ჭკუას რესპოდენტს, მაგალითად, ხუბუტიას. დუტა ხოფერიამ შეცვალა. ხოფერიას თეთრთმიანი ჟურნალისტი შეეცილა. გაოგნებული მანანა ყველას ემუდარებოდა: „ნუ მაწყვეტინებთ!“ „წინადადება დამასრულებინეთ!“ მაგრამ ვინ გისმენს? ასე შეინირა შეკითხვებმა ინგას „ქრონომეტრაჟით“ რესპოდენტისთვის საპასუხოდ განკუთვნილი წუთები.

ამ დროს კი ოპონენტები: გიგა ბოკერია იყო, თუ გივი თარგამაძე, არხეინად „მსჯელობდნენ“, ინგას „ქრონომეტრაჟსაც“ გადაუარეს, თავიანთი არგუმენტებითაც გული იჯერეს, მაგრამ მათ პირში არავინ შეჩრია, არავის გაუწყვეტინებია მათთვის სიტყვა.

„ოპონენტ“ რესპოდენტებთან „პაექრობის“ ეს მეთოდიკა-ტექნოლოგია (მოსაუბრის დაბნევა, შეჩერება, ციინიზმი, შეკამათება) თითქმის ყველა ტელეწამყვანს ოსტატურად აქვს ათვისებული.

მხოლოდ სამი ჟურნალისტია: დათო აქუბარდია, თეა სიჭინავა და ეკა მიშველაძე, რომლებიც ახერხებენ რესპოდენტ-ოპონენტებთან კულტურულ ფორმებში საუბარს ყოველგვარი დაძაბულობისა და ისტერიკების გარეშე.

ტელემაყურებელო, რას იტყვი? როგორ ფიქრობ, საჭიროა, თუ არა, დაიხვეწოს არსებული „ჟურნალისტის ზნეობანი“, ან თუნდაც რაღაც ცვლილებებზე შევიდეს? ბრძენის შეგონება კი ასეთია: „იყავ თამამი, იყავ თამამი, ნუ იქნები თავხედი!“

თქვენი **მოსე მწერალი**

ნარგიზა ჩიქოვანი – «მარტიდან მარტამდე»

პედაგოგი **ნარგიზა ჩიქოვანი** მკითხველთა წინაშე ლექსების კრებულით **„მარტიდან მარტამდე“** წარსდგა. წიგნში შეტანილია ბოლო ერთი წლის განმავლობაში შექმნილი ლექსები.

მისი შემოქმედება გაჟღენთილია პატრიოტიზმით, ქართული ენისა და ქართული საქმის ერთგულებით, ოჯახის, შვილების, საერთოდ ახალგაზრდობის, თანამედროვეებისა და წარსული დიდების სიყვარულით.

20 მარტს იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში გაიმართა **ნარგიზა ჩიქოვანის** წიგნის **„მარტიდან მარტამდე“** წარდგინება. წიგნი დამსწრე საზოგადოებას წარუდგინა პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორმა, აკადემიკოსმა, ჰუმანური პედაგოგიკის რაინდმა **ზურაბ ცუცქირიძემ**.

სიტყვებით გამოვიდნენ პედაგოგიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი **გურამ ხანდამიშვილი**, დირექტორის მოადგილე **მზია გაგნიძე**, მეცნიერ-მუშაკები: **ნაირა ცხვედიანი** (წიგნის რედაქტორი) და **ნონა ლეიაშვილი**, სტუმრები: კომპოზიტორი **გოგი ჩლაიძე** და მომღერალი **ნოდარ ნაკაიძე**, რომლებმაც ისაუბრეს **ნარგიზა ჩიქოვანის**, როგორც პიროვნებისა და პოეტის ღირსებებზე, მის ადამიანურ თვისებებზე.

ბოლოს ქალბატონმა ნარგიზამ დამსწრე საზოგადოებას წაუკითხა ლექსები ახალი წიგნიდან, რომლებიც დამსწრეებმა გულთბილად მოისმინეს.

წიგნის წარდგინება

წიგნის **„მარტიდან მარტამდე“** წარდგენის ღონისძიებაში თავისი წვლილი შეიტანა „პედაგოგთა და მეცნიერ-პედაგოგთა დახმარებისა და ხელშეწყობის საქველმოქმედო ფონდმა: **„სახალხო განათლება+“**-მა.

საღამომ თბილ და სასიამოვნო ატმოსფეროში ჩაიარა.

საკუთარი ინფორმაცია

მარტიდან მარტამდე

მზეს ჩამთჰყვა ცით მინევრა
და ეს მარტი ისევ მარტობს –
ცა დარდობს და მიწა ავობს –
ბედისწერა მტოვებს მარტოს...

შემაფათლა სულში დარდი,
ამასხიპა მარტმა ფრთები...
და მეც მარტში ჩამქრალ ვარსკვლავს
მარტის სულით შევაბერდი...

მარტის ქარებს ვეტირიფე –
სიტყვის ბალახები ვთიბე...
ცას ვეწვიე ლექსის თავსხმით,
ცისარტყელა მქონდა კიბედ.

თრი მარტი ანგელოსთა
საცეცხლურად აწკარუნდა,
იმ მარტიდან ამ მარტამდე
საუკუნე გარდასრულდა!..

ფრთადაწყენილ ბგერის გამებს
ხთხბის ლაპრის დაჰკრავს ფერი...
იქნებ, მარტის სიგიჟეა
მზე წვიმაში ანამღერი.

კუალი ნათელი

მარიამ თაბორიძეს არ დავივიწყებთ

მარიამ (მანიკო) თაბორიძისნაირი ადამიანები იშვიათად იბადებიან, მაგრამ როცა მოევლინებიან ამ ქვეყანას, სიკეთისა და კაცთმოყვარეობის ძლიერი მუხტი შემოაქვთ ჯერ კოლექტივში და შემდეგ იმ საზოგადოებაში, სადაც ისინი წლების განმავლობაში თეორიულ-პრაქტიკულად იღწვოდნენ ახალგაზრდობის სწავლება სწავლის ეფექტიანობის ასამაღლებლად. ჩვენი კოლექტივისათვის ძნელია, რომ სხვა მრავალ გამოჩენილ მეცნიერთან ერთად მასაც წარსულში მოვიხსენიებთ. ქალბატონი მანიკო საქართველოს სკოლის დამსახურებული მასწავლებელი, ღირსების ორდენის კავალერი, იაკობ გოგებაშვილის სახელობის პრემიის ლაურეატი, პედაგოგიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი და მისი ერთ-ერთი დამფუძნებელთაგანი იყო.

იგი იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა მოსწავლეთა მხატვრული აღზრდის სექტორს, ასევე ესთეტიკური აღზრდის სამეცნიერო-კვლევით ლაბორატორიას სულხან-საბა ორბელიანის სახელობის უნივერსიტეტში. იყო ამავე უნივერსიტეტის ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების მეთოდიკათა კათედრის პროფესორი. მრავალი წიგნისა და სამეცნიერო ნაშრომების ავტორი გახლავთ. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია სიცოცხლის ბოლო წლებში დასტამბული მონოგრაფია „ვეფხისტყაოსნის“ სწავლების საკითხები“, რომელიც პრაქტიკოსი პედაგოგებისათვის დღესაც სამაგიდო წიგნია.

მარიამ თაბორიძე წლების განმავლობაში ატარებდა ლექციებს ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთათვის. მისი საჯარო ლექციები ტარდებოდა მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტისა და საზოგადოება „ცოდნის“ ეგიდით.

განა მარტო გამორჩეული მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე იყო, არამედ გახლდათ შესანიშნავი მეოჯახე, ქართული ტრადიციების დიდი მოამაგე, მიმყოლი და დამცველი.

ყველაფერი კარგი ეროვნული რასაც ერქვა, ძვალ-რბილში ჰქონდა გამჯდარი. ქალბატონი მარიამი შრომისმოყვარეობასა, სამართლიანობასთან ერთად სიკეთის თესვის ცოცხალი მაგალითი იყო, თავის მდიდარ პედაგოგიურ გამოცდილებას უშურველად სხვებსაც უზიარებდა.

იაკობ გოგებაშვილის პედაგოგიკის მეცნიერებათა ინსტიტუტის თანამშრომლებს შორის არასოდეს წაიშლება ქალბატონ **მანიკო თაბორიძის** ნათელი ხსოვნა.

თამარ გოგოლაშვილი,
პედაგოგიკის დოქტორი, პროფესორი

„არდავიწყება მოყვრისა“

ვალიკო სიმონიშვილის მოსაგონარი

მარადისობას შეუერთდა ჩვენი ძვირფასი კოლეგა, დამსახურებული ჟურნალისტი **ვლადიმერ (ვალიკო) ილიას ძე სიმონიშვილი**. მეოთხედი საუკუნე გატაცებით იმოღვაწა მასწავლებელთა გაზეთ „სახალხო განათლებაში“. იმ პლეადის წამრომადგენელი იყო, რომლებიც ჩვენს გაზეთში ამინდს ქმნიდნენ: **გრიშა საჯაია, ოთარ ქინქლაძე, ლევან ჩიქვანაია, ვანო ურჯუმელაშვილი, თამაზ ნიკოლაიშვილი, შალვა ამონაშვილი, გენადი სანაია**, შემდეგში: **ნიკო შველიძე, ვასო ბაიაძე, ნოდარ პაპკიაური, ნათელა ფაილოძე, ალვენ ასლანიშვილი, აკაკი ჯიქია** და სხვები.

ფუტკარივით შრომისმოყვარე იყო, მეგობრული, კეთილი, ღიმილიანი.

ახასიათებდა კახური სიდინჯე, გაბრაზებული და მოჩხუბარი არასოდეს გვინახავს. საოცარი ნიჭისა და მეხსიერების პატრონი გახლდათ. „ჩვენი ენციკლოპედია“ შევარქვით – ყოველი წვრილმანიც კი ახსოვდა.

დამთავრებული ჰქონდა თელავის პედაგოგიური ინსტიტუტი, სამეცნიერო შრომაზე მუშაობდა იან-ამოს კომენსკის პედაგოგიური მოძღვრების კუთხით.

„სახალხო განათლების“ რედაქციაში სასკოლო განყოფილებას უძღვებოდა, რამდენიმე წლით გაზეთის პასუხისმგებელ მდივნად მუშაობდა. მცირე ხნით დატოვა ჩვენი გაზეთი და სამუშაოდ ეკონომიკის სამინისტროში გადავიდა. მალე ისევ დაუბრუნდა თავის საყვარელ საქმიანობას – ამჯერად – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“. „მკვდრად იგი თქმულა, ვისაც აქ სახელი არ დარჩენიაო“, – ამბობდა დიდი ილია.

ვალიკო სიმონიშვილს კი დარჩა ძვირფასი მეუღლე, ღვაწლმოსილი პედაგოგი **ნანა ვადაჭკორია**, საამაყო, სასახელო შვილები, შვილიშვილები, შეუბღალავი, უმწიკვლო სახელი და ავტორიტეტი.

85 წლის ვალიკო სიმონიშვილი უკვე უკვდავების ბინადარია. მეგობრები მას არ დავივიწყებთ.

კოლეგების და მეგობრების სახელით:
გენადი სანაია, ნათელა ქიმერიძე, ბორის მიშველაძე, ზურაბ ქობალია
და სხვები

ნომრის რედაქტორი
ბორის მიშველაძე

სახალხო განათლება+
№5 (4509)
25 მარტი, 2015 წელი
გაზეთი გამოდის 1928 წლიდან

რედკოლეგია

ზურაბ ქობალია (თავმჯდომარე) 599 34-37-27; ნათელა ქიმერიძე 595 58-45-72; ბორის მიშველაძე 555 59-60-50; რომან მოსეშვილი 599 34 41 41; ნათია გურგენიძე 593 42-22-58; ეკა მამუკაშვილი 557 20-85-04

E-mail: sakhalkho.ganatleba@gmail.com
ტელ: (0 32) 2 99 80 00
(0 32) 2 98 48 07; (0 32) 2 99 63 52

ISSN 1987-9113
9 771987 911009